რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 23 აგვისტო 1917 წ.

# ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოიტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 სახ. საათისა. ხელნაწერები შეიკლება არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 129 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 129

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ

## ერთობა-ზე.

გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში:

ერთი თვით—2 მან. 60 კაპ., ორი თვით—5 მან. 20 კაპ., სამი თვით—7 მან. 80 კაპ., ოთხი თვით—10 მან. 40 კაპ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კაპ. ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველი რიცხვიდან. ადრესის შეცვლა პროვინციელ ხელის მომწერთათვის 1 მანეთი. გაზეთის ფასი ხელის მოწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199., редакція „Эртоба".

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში" ოლღას ქუჩა, № 6.

იმ ხელის მომწერთ, რომელთაც ამ წლის მეორე ნახევრის ფული ძველ ფასობაზე აქვს გამოგზავნილი, უმორჩილესად ვსთხოვთ შეატყობინონ შემდეგ თავიანთი ხელის მოსაწერი ფულის შემოსულებულ ფასის და მიხედვით.

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთა ჯარისკაცის

### ემელიანე (ლავროსი) კილურაძის

გარდაცვალებას, რომლის პანაშვიდი გადახდილი იქნება 26 ამ აგვისტოს ბასილეთის ეკლესიაში. სოფ. ბასილეთში. მწუხარებასა შინა მყოფნი დედა იდეითი, დები: ქეთო, დარიკო, სიძე მიხაკო თაღაკვაძე, ნათლია ლომთათიძე.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები რაჟდენ და ელისაბედ სალუქვაძეები, ძმები დავით და მიშა, ბიძა ვასო სალუქვაძე, ამით ვაუწყებთ ნათესავებს და ამხანაგ-მეგობრებს, რომ თათრის ფრონტზე 9 აგვისტოს ტრაგიკულათ გარდაიცვალა მედიცინის ფერშალი

### კოტე გრიგორის ძე სტეფანოვი.

დაკრძალვის დღე ჩამოსვენების შემდეგ იქნება გამოცხადებული, 3—3

### პ უ რ ი

პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების საყურადღებოთ.

20 აგვისტოდან შემოღებული იქნება ბარათების სისტემა პურზე. ის პირები, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან, თანახმათ სასურსათო კომიტეტის და მუშათა და ჯარისკაცთა დეპ. საბჭოს გადაწყვეტილებისა მიიღებენ პურს ორჯერ მეტს იმაზე, რაც საერთოთ არის დადგენილი.

ამისათვის ქალაქის სასურსათო კომიტეტი სთხოვს ყველა პროფესიონალურ ორგანიზაციებს მისცენ თავიანთ წევრებს განსაკუთრებული მოწმობები, რომლითაც ისინი მიიღებენ დამატებითი პურის კვრცხ.

მოწმობების ბლანკები ფუფასოთ მიიღება ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში, შესაფერი ორგანიზაციის მოთხოვნით.

(3—3) ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

### პ უ რ ი

ქალაქის სასურსათო კომიტეტი აუწყებს მოქალაქეებს ბარათების სისტემით პურის მიცემა

### დროებით გადაიდო

ხელახალ განკარგულებამდე.

(3—3) თფილისის ქალაქის სასურსათო კომიტეტი.

სამანდატო კომისია მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციისა

სამანდატო კომისიის წევრთა მორიგეობა დანიშნულია ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 6—8 საათამდე სასახლეში, ყოფილ მუშათა კომისიის სადგომში. დანიშნულ დღეებში სამანდატო კომისიის წევრები იღებენ ახალ მანდატებს, აძლევენ ცნობებს, მოწმობებს საბჭოს წევრებს. (5—5)

### განცხადება

23 აგვისტოს დილის 11 საათზე შედგება პლენარული კრება თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტისა (პუშკინის ქ. № 5)

დღის წესრიგი შემდეგია: 1) გამგეობის ანგარიში; 2) კომიტეტის მოქმედების გეგმა; 3) მოხსენება ადგილებიდან; 4) არჩევა თფილისის გუბერნიის სასურსათო გამგეობისა; 5) მიმდინარე საქმეები. ვინაიდან კითხვები ფრიად სერიოზული და გადაუდებელია, დაბეჯითებით ვსთხოვთ წევრთ აუცილებლათ დაესწრონ კრებას. (3—3)

ოთხშაბათს 23 აგვისტოს საღამოს 7 ნახ. საათზე მე-6 ხე გიმნაზიის შენობაში, უდლის ქუჩა, დანიშნულია რ. ს. დ. მ. პ.

### მეოთხე რაიონის წევრთა კრება

ვთხოვთ ამხანაგებს არ დაიგვიანონ და აუცილებლათ დაესწრონ კრებას. (2—2)

სავალდებულო დადგენილება თფილისის საგუბ. სასურსათო კომიტეტისა.

თანახმათ დროებითი მთავრობის ამ წლის 30 მარტის დადგენილების მე-13 ტე მუხლისა, იმ დადგენილებათა დასამოწმებლათ და დასამატებლათ, რომელიც გამოეცით 14 და 22 ივლისს და 7, 9, 11, 13 და 15 აგვისტოს ამ წლისა თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი ადგენს: აიკრძალოს ქ. თფილისიდან და თფილისის გუბერნიიდან გატანა ყველა ქვემორე ჩამოთვლილ პირველ საჭიროების სანოვაგისა და საგნებისა: 1) ფქვილისა, 2) შაქრისა, 3) ჩაისა, 4) ყველისა, 5) ერბოისა, 6) ქართოფილისა და სხვა მწვანილეულისა, 7) თამბაქოსა და მისი ნაწარმისა, 8) მანუფაქტურისა, ტყავისა და მაუდისა, 9) შეკერილი ტანისამოსის და თეთრეულისა, 10) მაუდისა, 11) საკერავ ძაფისა, 12) ტყავეულობისა, 13) ფეხსაცმელისა (მათ შორის წუღებისა), 14) თუთუნისა, 15) სანთლისა, 16) საპნისა, 17) სპირტისა, 18) ცარიელი ტომრებისა. რკინის გზისა, ფოსტა-ტელეგრაფისა და სატრანსპორტო კანტორების ადმინისტრაციას ევალებათ არ მიიღონ გასაგზავნათ ზემო აღნიშნული ხანოვაგე და საგნები თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველათ.

(3—1) თავმჯდომარის მაგიერი: ლანდურაძე, მდივანი: აფონსკი.

## სავალდებულო დადგენილება

თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტისა.

1) სახლის პატრონები და სახლის გამგენი ქ. თფილისში ვალდებულნი არიან აწარმოონ სწორი ჩაწერა ყველა იმ პირებისა, ვინც სახლში მოდის და სახლიდან მიდის, სწორი აღნიშვნით, საიდან მოვიდა ეს პირი, ან სად წავიდა. ეს ცნობები 24 საათის განმავლობაში უნდა წარედგინოს იქმნას საუბნო კომისარიატში.

2) აიკრძალოს უნებართვო გაყიდვა, თათმობა ან და ფუფასოთ გადაცემა ქალაქის სასურსათო კომიტეტის მიერ გამოცემულ შაქრის, პურის, ფქვილის და სხვა ბარათებისა სხვა პირებზე, თუნდაც ნათესავებზე.

3) პურის საცხობების პატრონები, აგრეთვე მათი მოადგილენი, ვალდებულნი არიან გამოაცხონ ყველა ის ფქვილი, რომელიც მათ მიეცემათ ბარათებით ქალაქის საწყობიდან, თანახმად დადგენილ ნორმისა.

4) მეფურნეებს და მათ მოადგილეებს ეკრძალებათ ფქვილის გაყიდვა.

5) პურის საცხობების პატრონები და მათი მოადგილენი იმ შემთხვევაში, თუ მათ არ სურთ პურის ცხობის გაგრძელება, ვალდებულნი არიან აცნობონ ამის შესახებ ქალაქის სასურსათო კომიტეტს ორი კვირით ადრე წარმოების შეჩერებამდე.

6) ამ სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევნი, თანახმათ სასჯელთა დებ. 29 მუხ., რომელიც ესაჯება მომრიგებელ მსაჯულთა მიერ და რომელიც მოხსენებულია დროებითი მთავრობის 17 მარტის ამ წლის დადგენილებაში, დაისჯებიან: საპყრობილეში დამწყვდევით არა მეტი სამი თვისა, ანდა 300 მ. ჯარიმით.

7) ეს დადგენილება ძალაში შედის გამოცხადების დღიდან.

თფილისის საგუბ. სასურსათო კომიტეტი

თავმჯდომარის მაგიერი: ლანდუროვი

(3—1) მდივანი: აფონსკი.

კვირას, 27 აგვისტოს დილის 10 საათზე (ახალ დროთ) სახალხო სახლში დანიშნულია მომხმარებელთა საზოგადოება

### „ალორძინება"-ს

წევრთა წლიური საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები. დაბეჭდილი ანგარიშები შეუძლიათ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებებში. რადგან ეს კრება დანიშნულია მეორეთ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერათ ჩაითვლება.

(5—1) გამგეობა.

ოთხშაბათს, 23 აგვისტოს, შუადღის 1 საათზე სასახლის თეთრ დარბაზში, დანიშნულია

### მორიგი კრება

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების ამიერ-კავკასიის ცენტრისა.

დღის წეს-რიგი: 1. პეროვსკის განცხადება, 2. კუთაისელის თხოვნა, 3. ჯუღელის და ბ. ც. ქ. (2 საქმე), 4. მან. მაყაშვილის საქმე, 5. გერიუსის მუშ. და ჯარისკაც. საბჭო, 6. განცხადება სამთამადნო აზ. „შრომისა", 7. კოლეგიის ქარხნის ადმისტრ. კომ., 8. მიმდინარე საქმეები. სთხოვენ ამხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ. პრეზიდიუმი.

ბომბორის კოოპერატივის „ნახშირის" გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ წლის 27 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე დანიშნულია

### თფილისის განყოფილების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება,

ამისათვის სთხოვს წევრებს გამოცხადდენ საზოგადოების კანტორაში საჭირო კითხვების გასარკვევად.

გამგეობა. (2—1)

### თფილისის ქართული ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების

საპედაგოგიო საბჭო აცხადებს, რომ ამ ქამად გიმნაზიაში თავისუფალია ქართული ისტორიის შტატის მასწავლებლის ადგილი. თხოვნები მიიღება გიმნაზიაში ენკენისთვის ათამდის. (1—1)

### თფილისის ქართული ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების

საპედაგოგიო საბჭო აცხადებს, რომ მისაღები და ხელმეორე გამოსაცდელი ეგზამენები დაიწყება 11 ენკენისთვეს, ხოლო სწავლა 20. (1—1)

## შეთქმულობა რევოლუციის წინააღმდეგ.

კონტრ-რევოლიუციონერებს არ სძინავთ და ისინი ირაზმებიან. აღმართს დაღმართი მოსდევს—რევოლიუციას კონტრ-რევოლიუცია.

ძველი რეჟიმის მოტრფიალენი დემოკრატიულ წყობილებას ვერ ურიგდებიან და მთელი თავიანთი ძალღონით რევოლიუციონურ ორგანოებისა და დროებითი მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობას აპირებენ. მათ ამ ჟამათ ნიშანში დროებითი მთავრობა ამოუღიათ და მთელი შემადგენლობის დატყვევება განუზრახავთ.

დროებითი მთავრობის დახურულ კრებაზე მინისტრთა თავმჯდომარე კერენსკიმ განაცხადა, რომ დროებითმა მთავრობამ კონტრ-რევოლიციონური შეთქმულობა აღმოაჩინა. შეთქმულობის საიდუმლო ძაფები უკვე მთავრობის ხელშია და შეთქმულობის ასავალ-დასავალი გაუგია. ამ აღმოჩენაში ინიციატივა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს ეკუთვნის. უკანასკნელების წარმომადგენლებს მიუგნიათ კონტრ-რევოლიუციონურ შეთქმულობის გამზრახველთათვის, რომელთაც მიზნათ ქონიათ მოულოდნელათ დაეტყვევებიათ დროებითი მთავრობის ყველა წევრები, ესარგებლათ ასეთ არეულობით და საზოგადოებრივი აზრი და შეხედულება აღეშფოთებიათ რევოლიუციისა და რევოლიუციის მიერ მოპოებულ თავისუფლების წინააღმდეგ.

დროებით მთავრობას ჩხრეკა მოუხდენია და შეთქმულობის მომწყობნი დაუპატიმრებია. დიახ, კონტრ-რევოლიუციონერები ხალხის მიერ მოპოვებულ თავისუფლებას ვერ ურიგდებიან და მის წინააღმდეგ ხალხის ერთი ნაწილის ამხედრებას ცდილობენ. რევოლიუციას ახლა დროებით ბიუროკრატები და კონტრ-რევოლიუციონური, ბურჟუაზია აშკარათ აუმხედრდა და ჩვეულებრივი პოლიტიკური ძალთა დიფერენციაცია მოხდა. განვლო იმ ხანამ, როცა ბურჟუაზიისა და ბიუროკრატების ერთი ნაწილი იძულებული იყო მოპოებულ თავისუფლების რეჟიმს დამორჩილებოდენ და ხალხის თავისუფლებას ასე თუ ისე შერიგებოდენ.

ბურჟუაზიამ კარგა ხანია აქტიური მოქმედება დაიწყო, ფართო მასის ეკონომიურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა დაუწყო და თავისი კლასობრივი პოლიტიკა პირველ რიგში დააყენა.

ძველი რეჟიმის დაცემიდანვე მას სურვილი დაებადა პოლიტიკური ცხოვრების ბატონ-პატრონი გამხდარიყო და ფართო მასა მართვა-გამგეობის სფეროებიდან გაგრეკა და ბურჟუაზიულ ხანაში სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე მის ხელში ყოფილიყო.

მაგრამ რევოლიუციონურმა ძალთა განწყობილებამ, პოლიტიკურმა და სოციალურმა სიტუაციამ ბურჟუაზიის პოლიტიკური მისწრაფებას საზღვრები დაუდო და ფართო დემოკრატიამ სოციალურ-პოლიტიკური ბატონობისაკენ გზა გაიკაფა. რუსეთის ხალხის დიდი უმრავლესობა სოციალური პარტიების ლოზუნგების გარშემო შემოიკრიბა და სოციალისტური პარტიების მინიმუმ პროგრამის განხორციელება მოინდომეს. რამდენათაც დემოკრატიული კლასები დასახელებულ პროგრამას ცხოვრებაში ატარებდენ, იმდენათ მას ბურჟუაზიული ელემენტები შორდებოდენ და მის აშკარა საწინააღმდეგო პოზიციას იკავებდენ.

დროთა მსვლელობამ ასეთი წინააღმდეგობა გააღრმავა და ორი მოწინააღმდეგე ძალა ერთმანეთს აშკარათ ეტაკებიან. ახლა ბრძოლა აშკარათ ხდება და თვითეული კლასი ძალთა მობილიზაციას შეუდგა. ასეთ ძალთა მობილიზაციის და ძალთა დარაზმვის ხანაში ის გაიმარჯვებს, რომლის გარშემოსაც მეტი ხალხი მოიყრის თავს და რომლის გარშემოც მეტი ორგანიზაციული და შეგნებული ძალა გამოდგება.

რევოლიუცია ფართო მასის უფლების მოპოებას შეადგენდა და ის რევოლიუცია გამოდგება უზრუნველ ყოფილი, როცა თვით ამ უფლების მომპოებელი ხალხი ორგანიზაციულათ და შეგნებით დარაზმული იქნება. ამასთან რევოლიუცია უზრუნველყოფილი და განმტკიცებული დარჩება, როცა რევოლიუციის მიერ მოპოებულ თავისუფლების გარშემო ფართო დემოკრატია მოიყრის თავს და მის არსებობაში ხალხის უმრავლესობა იქნება დაინტერესებული.

თვით ბურჟუაზიაც იმის ცდაშია, რომ თავის კონტრ-რევოლიუციონურ მისწრაფების გარშემო რაც შეიძლება ხალხის დიდ ნაწილს მოუყაროს თავი და იგი საგრძნობელ ძალას წარმოადგენდეს. ეს არის რევოლიუციის განმტკიცების კანონი, მისი აუცილებელი მოტივები. და ვინც ასეთ ძალთა განწყობილებას ანგარიშს არ უწევს ის უტოპიზმის უფსკრულში ჩაიღუპება და რევოლიუციას დაასამარებს.

განსაკუთრებით ბურჟუაზია პროლეტარიატის ისეთ მოთხოვნებს აქცევს ყურადღებას, რომელიც ფართო დემოკრატიისათვის სასარგებლო არ არის და მის რევოლიუციონურ მოთხოვნილებას არ შეეფერება. აქ იგი რევოლიუციონურ პროლეტარიატს დარაჯათ უდგას, მის წმინდა კლასობრივ მოთხოვნილებას კრიტიკას უკეთებს და დემოკრატიას ეუბნება, რომ პროლეტარიატის მოთხოვნილება თქვენთვის დამღუპველია.

აი ასეთ პროცესში ხედავს იგი თავისი ძალების გამრავლებას, კონტრ-რევოლიუციონურ ძალების შემოკრებას.

ამიტომაც არის მარქსისტები ყოველ რევოლიუციის ხანაში უკეთუ იგი ბურჟუაზიული რევოლიუციაა, პროლეტარიატს ისეთ მოთხოვნილების წამოყენებისაკენ მოუწოდებდა, რომლებიც ფართო მასას მის გარშემო შეკრებდა და რევოლიუციას უზრუნველყოფდა.

დღეს რუსეთში სოციალისტური რევოლიუცია არ ხდება, იგი ბურჟუაზიულ წარმოების ხანაში მიმდინარეობს და კერძო საკუთრების გასაზოგადოებას არ ესწრაფვის. ამისათვის რუსეთის ობიექტიური პირობები არ არის მომწიფებული და ფართო მასა ასეთ ლოზუნგს მხარს არ დაუჭერს. მარქსი ამბობს სოციალისტური, რევოლიუცია მხოლოდ მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა საწარმოვო ძალთა განვი-

საბურში ტრამვაის მუშები. მუშებმა მიმართეს გამგეობას 12 აგვისტოს და მოითხოვეს, თუ გაიწვიეს სამხედრო სამსახურში, მიეცეთ მათ 3 თვის ჯამაგირი, უზრუნველყოფილი იქნეს მათი ოჯახები, დემობილიზაციის შემდეგ მათ მიეცეს ისევ ძველი ადგილი და სხ. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მოუნდება 1 ნახ. მილიონი მანეთი. გამგეობა სამართლიანათ და ნორმალურათ სცნობს მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასო, სთქვა მომხსენებელმა.

ხმ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი (ს. რ.) მოითხოვს მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საკითხთან ერთად განხილულ იქნას საკითხი, თუ სად გამოინახოს ამისათვის საჭირო თანხა. გ. ქურული მოაგონებს საბჭოს, რომ ეს საკითხი უკვე ირჩევა საფინანსო კომისიაში.

ტრამვაის მუშათა საკითხი გადაეცა ტრამვაის საფინანსო და შრომის კომისიას.

გადაწყდა დაიქირავონ სამი თარჯიმანი ქართულ, სომხურ და თათრულ ენებისა. თითოეულ თარჯიმანს მიეცემა თვეში 200 მანეთი. ცეცხლის მქრობელ რაზმის ხარჯებისათვის გადაიდო დამატებით 21788 მან. 99 კ.

სხდომის დასასრულ ქალაქ. ს თავმა გააცნო საბჭოს გამგეობას წევრთა შორის საქმეების განაწილება.

ვენე ალათიშვილი.

## სახალხო ინსპექტორების შესახებ.

სახალხო ინსპექტორების დანიშნვა ქუთაისის გუბერნიაში გაჭიანურდა. აპრილის საზოგადო ყრილობაზე სახალხო მასწავლებლებმა, სხვათა შორის, ამ კითხვაზედაც იქონიეს მსჯელობა და როგორც ბევრი სხვა საკითხება, ესეც პარტიული თვალსაზრისით იქნა გადაწყვეტილი. საზოგადო კრებამ დაადგინა: ინსპექტორები დაასახელონ პარტიათა ბიუროებმა (თითო პარტიამ თითო კანდიდატი), კანდიდატთა სია წარუდგინოს მასწავლებლებს და თუ მოიწონებდენ, ყველანი ჩაითვლებიან არჩეულად. ხშირად მომხდარა, რომ საზოგადო კრებაზე გამოუტანიათ შემცდარი დადგენილება, რომელიც შემდეგ იმავე კრებას უარუყვია. მაგალითისათვის შორს არ მოგვიხდება წასვლა, საკმაოა გავიხსენოთ საოლქო სამასწავლებლო ყრილობის მუშაობა, სადაც წინა დღის მიღებული რეზოლიუცია მეორე დღეს გადასინჯულ იქნა და ერთ ხმათ უარყოფილი (გაიხსენეთ ბიჩის პროექტი ინსტიტუტის შესახებ). ასეთივე შეცდომა დაუშვა საზოგადო კრებამ, როცა ხსენებული დადგენილება გამოიტანა ინსპექტორების მოწვევის შესახებ. როგორც ნაუცბათევი, ცხოვრებამ ეს დადგენილება არ გაამართლა. საინსპექტორო კანდიდატებმაც (ზოგმა რასაკვირველია, და არა ყველამ) უხერხულად იცვნეს თავისი კანდიდატურა ძალით მოხვიათ თავზე უცნობი რაიონისათვის და მოხსნეს.

ეს ნაუცბათევი დადგენილება ივნისის პირველ რიცხვებში ფილიალურ განყოფილებათა წარმომადგენლების მიერ გამგეობასთან ერთად ხელმეორედ იქნა გადასინჯული. უკანასკნელი ყრილობა იმ აზრს დაადგა, რომ ამ წესით ინსპექტორების მოწვევა ყოვლად შეუძლებელია და უმჯობესად იცნეს თვითეულ რაიონს დამოუკიდებლად აერჩია თავისი ინსპექტორი, ხოლო დირექტორის თანამდებობის მაგიერ უნდა დაწესებულიყო მეხუთე ინსპექტორის თანამდებობა და ისეთივე კალეგიალური მართვა გამგეობა უნდა მოეწყოთ, როგორც ეს უკვე მოწყობილია თფილისის დირექციაში.

ამ დღეებში ჩვენ ვტყობილობთ, რომ კავშირის გამგეობას უკანასკნელი დადგენილება თავის ნებით შეუცვლია და პარტიათა ბიუროს მიერ დასახელებულ კანდიდატებს უდგენს მასწავლებლებსო.

ფილიალურ განყოფილებათა წარმომადგენლების ყრილობა მთელი კავშირის მასწავლებლობას წარმოადგენს და არ ვიცი როგორ შეეძლო გამგეობას უკანასკნელთა დადგენილება თავის ნებით დაერღვია და როგორც ცხოვრებისაგან აგრეთვე კანონიერი ყრილობისაგან უარყოფილი წესი მოეხვია თავზე მთელი მასწავლებლობისათვის. არ ვიცი, როგორ მოახერხებს გამგეობა თავისი ქცევის გამართლებას, მე კი ჩემდა თავად უნდა ვაღიარო საჭიროდ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ერთი ორი საინსპექტორო კანდიდატს. თუმცა პირადათ ძალიან პატივსა ვსცემ, მაგრამ მიუხედავად ამისა, როცა ჯერი მიდგება კანდიდატთა სიის მიღება-არ მიღებაზე, საერთო სიას შავი კენჭით უნდა გავუმასპინძლდე. სხვაფრივ ვერც ერთი სახალხო მასწავლებელი ვერ მოიქცევა, თუ კი ის ცოტათ თუ ბევრათ პატივსა სცემს თავის ფილიალს.

თუ ფილიალების წარმომადგენლებს არ ენდო გამგეობა, რომლებიც მისი ინიციატივით იყვნენ მოწვეულნი, იმ შემთხვევაში უნდა მოეწვია საზოგადოება მასწავლებლებისა ან ცალკე ფილიალების კრებები, სადაც ადგილობრივ ხელ-მეორედ გაირჩეოდა და ეს საკითხი.

საინსპექტორო კანდიდატების დასახელების შესახებაც იგივე წინ დახვდობა. სანამ სხვა უკეთესი ორგანო არ შეგვიქმნია, სახალხო ინსპექტორს დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლის ცხოვრებაში. ჩვენს სკოლას და მასწავლებლობას ესაჭიროება ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც, ახალს რასმეს გაგვიგონებენ მათ და დამახინჯებულ დამონებულ სკოლას სულს ჩაუდგამენ და განახლებენ და არა ისეთები, რომლებიც ინოვსკი-რუდოლფების „ერთგულ ჩინოვნიკებად" ითვლებოდნენ და ჩინ ორდენებით აქვთ გულ-მკერდი აჭრელებული.

ამასთანავე არც ერთმა კანდიდატმა მეგრული ენა და ზნე ჩვეულება არ იცის. ნუ თუ არ მოიძებნოდა მთელ სამეგრელოში შესაფერი კანდიდატი? ალბათ ყველა კანდიდატებს სახეში აქვთ იმერეთი ან გურია და თუ სამეგრელოში წასვლა და სამსახური მოუხდება, მაშინ უარს იტყვის. ან კიდევ თუ ვერ შეთანხმდენ ამაზე, ხელმეორედ უნდა მოგვმართონ მასწავლებლებს ან უარს თუ იტყვის რომელიმე რაიონის ინსპექტორი, მთელმა მასწავლებლობამ უნდა ვეძებოთ კენჭი სხვა კანდიდატს. ერთი სიტყვით, აქ იმდენი უხერხულობა იბადება, რომ ჩემის აზრით, უმჯობესია საოლქო სამასწავლებლო საბჭოს ხელში იყოს ინსპექტორების დანიშვნა, მით უმეტეს, რომ ამ საბჭოში რევოლიუციონურ ელემენტებთან ერთად საუკეთესო პედაგოგები არჩეულია მასწავლებელთა საოლქო ყრილობის მიერ. ერთი სიტყვით, ან რაიონმა, მასწავლებლობამ, თვითონ აირჩიოს თავისი ინსპექტორი, ან ის დანიშნოს საოლქო საბჭომ, სხვა წესი ჩვენ არ გვინდა.

მასწავლებელი ნესტორ კიკალიშვილი.

## საქველმოქმედო საზოგადოების საყურადღებოთ.

(მცირე შენიშვნა).

როგორც მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, ჩვენი ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების უმთავრეს და უპირველეს მოვალეობას შეადგენს ზრუნვა, ნივთიერათ და კულტურულად ამაღლება და გამაგრება ომისაგან დაზარალებულ აჭარლების და ლაზებისა.

მსოფლიო ომმა ამ პატარა, მაგრამ ბუნებით დაჯილდოვებულ მხარეს, თავისი კლანჭები გაკრა და საშინელ, აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა. ჯერ იყო და ოსმალთა მხედრობამ გაანადგურა და უმეტესობა აჭარელ მცხოვრებთა ძალათ ოსმალეთში წაასხა; დარჩენილებს კი რუსების მხედრობამ მოუღო ბოლო. ჩვენ არ შევუდგებით უკვე ცნობილ ფაქტების ხელმეორეთ გადმოცემას, ვიტყვით მოკლეთ, რომ ორი მაჩხუბარი ძლევამთა შორის კოხაკი შუაში გაიჭყლიტა.

და აი, ქართველ მოწინავე საზოგადოებამ მიაქცია ყურადღება და უხვი ნივთიერი დახმარება გაუწია გაჭირვებაში მყოფ თავის ძმებს.

ლაზები და აჭარლები არ დაივიწყებენ ქართველების ასეთ თავგამოდებულ მოსარჩლეობას, ისინი ვერ დაივიწყებენ მათ მედგარ დამცველს, მათ მოამაგე აკაკი ჩხენკელს. მაგრამ ჩვენ დღეს ეს არ გვაინტერესებს. ჩვენი სურვილია საქველმოქმედო საზ. მუშაობას ორის წლის განმავლობაში, გაკვრით გადავხედოთ და მისი დადებითი თუ უარყოფითი მოღვაწეობა აღვნიშნოთ. სამწუხაროთ უნდა ვსთქვათ, რომ საქველმოქმედო საზ. მოქმედება აქ ვერ არის რიგზე დაყენებული.

სოფ. სარფში (ლაზისტანია) ისევ ძველი წესწყობილების დროს, საქველმოქმედო საზ. აუარებელი ნივთები მოუტანია აქაურ მცხოვრებთათვის, როგორიც მაგალითად: საცვლები, წაღები, შაქარი და სხვა, და ყველა ეს ებარა აქაურ პოლიციის ურიადნიკს. ეს უკანასკნელი კი ისე უყურებდა ამ მიბარებულ ქონებას, როგორც საკუთარს და როგორც მოეპრიანებოდა ისე ყიდდა და თავისი უძირო ჯიბეს ივსებდა, თუ საჭირო იქნა, ამას აქაური მცხოვრებნი დაამტკიცებენ. რევოლიუციის შემდეგ, აქ. ადგილობრივ მუშების წარმომადგენლებმა, ურიადნიკს ანგარიში მოსთხოვეს, ქონება აღწერეს და დაბეჭდეს კიდეც, და ეს ყველაფერი, რამდენათაც ვიცი, საქველმოქ. ს—ბის განყოფილებას შეატყობინეს ბათუმში. რამოდენიმე ხნის უკან ეს დარჩენილი ქონება დაურიგდა აქაურ მცხოვრებთ. ერთი კვირის უკან ამ სოფელს ეწვია ზემოხსენებული საზოგადოების მდივანი ბ. კობახიძე, რომელმაც ფულები დაარიგა აქ. აი ყველა ამაში გამოიხატება დადებითი მუშაობა ამ საზოგადოებისა.

თუ ნივთიერ დახმარებას მნიშვნელობა ქონდა—ვიტყვი მეტსაც, აუცილებელი საჭირო იყო მოაჯირობიდან დაბრუნებულთათვის, რომელთაც გადამწვარ გადაბუგული დაუხვდათ ყველაფერი. დღეს კი, ვინც ცოტათი მაინც იცნობს აქაურ მდგომარეობას, ის დამეთანხმება, რომ ორის წლის უკან დაწყებული გეგმით მუშაობა აქეთ, დღევანდელ სულ სხვა პირობებში, ყოვლად უაზრობაა. დღეს მდგომარეობა სულ ერთიანად გამოცვლილია. ბათუმ-ტრაპიზონის რკინის გზის დაწყებამ, შოსე გზების გაყვანამ ბევრი ფული დაატრიალა ამ მხარეში და უმწეო მდგომარეობაში მყოფთ სული მოათქმევინა.

და ამიტომ ვამბობ, რომ მათი ნივთიერათ უზრუნველყოფა უკვე ცხადია—და ამ მხრით მათ ჩვენი დახმარება კი არ ეპირვება, მათ ეპირვება სულ სხვა რამ, რაც მათ ამოიყვანს, იმ უვიცობიდან, იმ სიბნელიდან, რომელშიაც ისინი ჩაცვივნულნი არიან. სკოლების გახსნა, განათლების შეტანა—აი რა იხსნის მათ, რა ეპირვება ლაზებს. და საქველმოქ. საზ. ყურადღებაც აქეთ უნდა იყოს მიმართული, მათი მთელი ენერგია და გულისყური ამ გზით უნდა იყოს მიჩერებული, თუ გვინდა ისტორიული გარემოებით მოწყვეტილი ძმები შევიერთოთ და შეგნებული წევრი გავხადოთ თავისუფალ საქართველოს, თავისუფალ ოჯახისა.

ლაზები ძლიერ ჩამორჩენილი ინერტიული ხალხია. სრული უვიცობა და შეუგნებლობა სუფევს ამ მხარეში. სოფ. სარფი 30 კომლისაგან შესდგება. ამ პატარა სოფელში ორი საყავე არის გახსნილი, სადაც დილიდან საღამომდის ლაზი მამაკაცები ლაზღანდარობენ, ბანქოს თამაშობენ და სხვა ასეთები. და მათი ქალებს კი დილიდან საღამომდის მოსვენება არა აქვთ: ოჯახი, ყანა, შინ და გარეთ ყველაფერში ქალია.

დიახ, ასეთია მდგომარეობა აქეთ, სიბნელეში იხრჩობა ეს მხარე და ჩვენი საზოგადოების ვალდებულებაა, რაც შეიძლება საჩქაროთ მიღებულ იქნას ზომები, რომ განათლების სხივმა აქაც შეაშუქოს და ლაზების ამღვრეულ ცხოვრებაში სიცოცხლის ცეცხლი ჩააქვეს.

პლატონ ნარაკიძე.

## მთის ხეობაში.

(მიშა ა—ძეს.)

მთას ვესტუმრე, ლაღი ფიქრი ფრთებს შლის, ტოკავს, ეცინება,
ხან მთის მწვერვალს გ დაურბენს, ხან მისს კალთებს ეფინება,
მთათა გრეხილს, მთათა ზოლებს, ამ ზღვის ტალღებს, ამ მძლე ზვირთებს,
ყოფნის ფიქრი ფრთებით ამკობს, იტაცებს და ცას უერთებს.
ვდგევარ მთაზე, ძლევის სიტყვა გარს ევლება, ჩინჩხალს კვესავს,
მწვანე ხევის მწვანე გულზე იშლება და ლხენით მოსავს!..
ნაძვნართ სიტყვა საიდუმლო თითქოს მოჰქრის, გამოგვიხმობს,
ტყე აქ ლხენით ილიმება, ბუჩქიც ჩვენთან მუსაიფობს!..

* * *

მეგობარო, გული მოეც, ლაღ მიდამოს უთხარ სიტყვა,
რაც სიცოცხლემ წარმოშობა, გამარჯვებით რაც რო ითქვა,
დე, ცხოვრების შავ წარსულში დაიფერფლოს ფიქრი მწარი,
ძლევით აღსდგეს მოგონება, თუ ვინ გვყავდა მეგობარი!.
მაღლით ახვალ, იქ ზღვა ფიქრი სხივთ ისრებათ იფრქვევიან,
მზე ახლოა, სხივთა ხმანი ჩვენს ხეობას თავს დაჰქრიან!..
და ცხოვრების მოედანზე დახე რა რიგ ჰქრება ლანდი,
იგი ფრთაა მწარი დროის, როს ბრძოლის ველს ლომად სჩანდი!..

* * *

მაღლით ავალ, იქ შორ სივრცეს ფრთას მოვსტაცებ წითლად მოვრთავ:
მეგობრისთვის წარმოვგზავნი და მეგობარს მით შევმოსავ,
მეგობარო, მაღლით ახვალ თიბდ სივრცეს უთხარ სიტყვა,
რაც სიცოცხლემ წარმოგზავნა, გამარჯვებით რაც რომ ითქვა,
ფოთოლს სიტყვა საიდუმლო ჩვენსკენ მოჰქრის, გამოგვიხმობს,
ტყე აქ ლხენით ილიმება, ბუჩქიც ჩვენთან მუსაიფობს!..
ვდგევარ მთაზე... ძლევის ხმები გარს ევლება, ჩინჩხალს კვესავს
მწვანე ხევის გაშლილ ფრთებზე ეფრქვევა და ლხენით მოსავს!..

გელა.

## სრულიად რუსეთის მუშათა კოოპერატივების პირველი ყრილობა.

(რეზოლიუციები).

**მუშათა კოოპერაცია და სასურსათო საკითხი.**

1) სასურ. კრიზისის უკიდურესობამდე გამწვავება რუსეთში საერთო ეკონომიური კრიზისის ერთ ნაწილს შეადგენს. ეს კრიზისი კი ძველი მთავრობის მოღვაწეობით და ომით არის გამოწვეული. სანამ ომი არ მოისპობილა, კრიზისით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება შეუძლია მხოლოდ ორგანიზაციულათ შეკავშირებული ძალების და მთავრობის ამ ნიადაგზე მიზან შეწონილ მოქმედებას. გადატან-გადმოტანა და სურსათის განაწილების საქმე უნდა მოეწყოს წინასწარი შემუშავებული გეგმით, რომლის შემუშავების დროსაც უნდა მიღებულ იქნას სახეში როგორც მცოვრებთა საწარმოვო ძალები, ისე მისი მოთხოვნილებანი. გადატან-გადმოტანის საქმის მოწყობის სათბობი და აგრეთვე ნედლი მასალის განაწილების დროს უნდა უარყოფილ იქნას ისეთ საგნებზე ზრუნვა, რომლებიც ხალხისთვის აუცილებელ საჭიროებას არ შეადგენენ. ამასთანავე საჭირო წარმოებათა საქმეში ჩარევა და საჭირო წარმოებათა ტრესტების საფუძველზე მოწყობა.

2) ამასთან ერთად საჭიროა მდიდარ კლასებზე სიმდიდრის მიხედვით ერთდროული გადასახადის შეწერა. წარმოების კანტროლისა და სურსათის განაწილების გარდა კანტროლი უნდა დაწესდეს აგრეთვე ბანკებზე.

3) ამ საქმეთა მოსაწესრიგებლათ უნდა შექმნილ იქნას ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები დემოკრატიულ საფუძველზე.

4) მუშათა კოოპერაცია პროფესიონალურ კავშირებთან, საქარხნო კომიტეტებთან და მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან ერთად ხელმძღვანელობს მუშათა კლასის ეკონომიური ცხოვრების მოწესრიგების საქმეს.

5) ნაყოფიერად მუშაობა შეუძლია მუშათა კოოპერაციას სასურსათო საკითხის მოწესრიგებაში. მას შეუძლია და კიდეც უნდა მოიმოქმედოს ეს—შექმნას ქალაქებში სასურსათო ორგანიზაციები.

6) მუშათა კოოპერატივები მთელი ძალღონით უნდა დაეხმარონ სასურსათო ორგანიზაციას ადგილობრივ სურსათის მონახმარებელ ცენტრებისთვის შეგროვება შესყიდვა გაგზავნის საქმეში.

7) მუშათა კოოპერატივი ერთად ერთ ორგანიზაციად უნდა გახდეს, სურსათის მცხოვრებთა შორის გამნაწილებელი. კერძო სავაჭროები ყველგან საზოგადოებრივი ხასიათის სავაჭროთი უნდა შესცვალონ. ამ ნიადაგზე მუშაობას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

8) სურსათით უზრუნველყოფის საქმეში მარტო თავისი წევრები კი არ უნდა ყავდეს სახეში მუშათა კოოპერატივს, არამედ—მთელი მუშათა მასა, მთელი მცხოვრებნი ამა თუ იმ ქალაქისა.

## რუსეთის ამბები.

**კონტრ-რევოლიუციონერები** რუსეთის ბევრ ქალაქებში ენერგიით მუშაობენ. ცარიცინში მაგ., ხმებს ავრცელებენ, რომ ცარსკოე სელოში ყოფილ მეფეს სამასხაროთ იგდებენ. ერთხელ, როცა ნიკოლოზი ეზიარა, დარაჯმა მას სცემაო. ნიკოლოზმა დარაჯს არაფერი არ უთხრა, მაგრამ დარაჯი თვითონ შეშინდა, როცა დაინახა, რომ ნიკოლოზს ზიარებას აწვდიდა ღვთისმშობელი და ქრისტეო. ასეთი ამბები სისწრაფით ვრცელდება ხალხში და შეუგნებლებზე შთაბეჭდილებასაც ახდენს. ამ დღეებში პეტროგრადში კონტრ-რევოლიუციონერების შეთქმულობა აღმოაჩინეს. ეს შეთქმულობა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ აღმოაჩინა. შეთქმულების მომწყობთ გადაწყვეტილი ჰქონდათ დროებითი მთავრობის დაპატიმრება. შემდეგ ისარგებლებდენ არეულ-დარევით და ხალხს რევოლიუციის წინააღმდეგ აამხედრებდენ. ამ საქმის გამო ბევრია დაპატიმრებული. მათ ვინაობას ჯერ-ჯერობით არ აშკარავებენ. როგორც ამბობენ, დაპატიმრებულია ყოფილი გენერალი მეზობრაზოვი. კერენსკიმ ამ შეთქმულობის შესახებ მოხსენება გააკეთა დროებითი მთავრობის დახურულ კრებაზე.

20 აგვისტოს პეტროგრადის ზოგიერთ ადგილებში დემონსტრანტები გამოჩნდენ პლაკატებით, რომლებზედაც ეწერა: „ძირს დროებითი მთავრობა, ომი ბურჟუაზიის წინააღმდეგ სრულს გამარჯვებამდე". ვარშავის სადგურზე მათ მიტინგი გამართეს. მილიციის უფროსის განკარგულებით დემონსტრაციას სამხედრო მოტოციკლეტთა დარაჯები გაჰყვა. ღამით დემონსტრაცია დაიშალა.

— რა ხდება ჯარში?— [illegible] ჩვენ მოყვანილი გვქონდა „დამკვრელი" ბათალიონის მიერ დასავლეთ ფრონტზე „ზემგორის" დრუჟინის ორი მუშის დახვრეტის ამბავი ამის შესახებ „პეტ. მ. და ჯ. დეპ. საბჭ. უწყებები" სწერს: დაღუპულ მუშებს ვეღარ გავაცოცხლებთ, მაგრამ შემდეგში ყოველივე ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ჯარი დაცულ იქნას ისეთი მოვლენებისაგან, რომელთა მეოხებით ჯარს გახრწნისაგან დახსნის და იქ რევოლიუციონური წესიერობის აღდგენის სახელით ჯარში კვლავ გამეფდა უფლებობა, ძალადობა-აღვირ-წახსნილობა. ჯარებიდან აუარებელი ცნობები მოდის, რომლებიც აშკარათ ამტკიცებენ, რომ იქ გამეფებულა დაუსრულებელი ჩხრეკა დაპატიმრება ანგრევენ თურმე ჯარით ორგანიზაციებს, შემოუღიათ სალამის სავალდებულო მიცემა და სხ. ჩამოთვლილია აგრეთვე ისიც, თუ როგორ ამცირებენ ჯარისკაცის ადამიანურ ღირსებას. ამას სჩადიან რევოლიუციის მტრები და ამით შურს იძიებენ იმ დამცირებათა საპასუხოდ, რომლებიც მათ რევოლიუციის პირველ დღეებში განიცადეს ყველგან ასეთ მოვლენას, მართალია ადგილი არ აქვს, მაგრამ ეს ამბავი ყველა ჯარებში ვრცელდება და ჯარიც, რომელმაც ერთხელ თავისუფლება იგემა დაფარული რისხვით გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ასეთი მოვლენისადმი. ჯარი უნდობლად უქერის ოფიცერთა უმრავლესობას, რომელთა დანაშაული შეიძლება იმაში იყოს, რომ მათ თვითმპყრობელობამ საშვალება არ მისცა მომზადებისა, შეგნებული მოქალაქენი გახდარიყვენ და რევოლიუციის გზაზე დამდგარი ჯარის მეთაურობა შესძლებოდათ. ასეთი მოვლენების წყალობით ჯარის მასსაში საძნელო ხდება რევოლიუციონური წესრიგის აღდგენის შესახებ რაიმეს გაკეთება. ჯარის კაცები რევოლიუციონური წესრიგის აღდგენას აღარებენ იმ დამცირება—ძალადობას, რომელსაც ისინი ამჟამად განიცდიან, ამაში ისინი იგივეობას ხედავენ. მიუხედავად მიღებული სასტიკი ზომებისა, ჯარში ფეხს იკიდებენ ანარქისტული აზრები. ყოველგვარი ზომები უნდა იქნას მიღებული, რომ ჯარში აღდგენილ იქნას ნამდვილი რევოლიუციონური წესრიგი, მიუხედავად იმისა, რომ აქ დიდ წინააღმდეგობას გასწევენ კონტრ-რევოლიუციონერები. და თუ სხვა საშუალებით ვერას გავხდებით, უნდა მივმართოთ ძალას—„რკინას და სისხლს".

— **მისაბაძი მაგალითი.** ვაჭარი ონუფრიევი მივიდა ნოქართა კავშირში პეტროგრადში და განაცხადა: ახალ მოსამსახურეებთან დაქირავების პირობები უნდა შევიმუშავო კავშირთან შეთანხმებით.

კავშირის მდივანმა უთხრა: მოსამსახურეს წელიწადში თითო თვის დასვენების ნება უნდა მისცეთ ჯამაგირის შენახვით.

ვაჭარი დათანხმდა.

თუ ვინიცობაა, მოსამსახურეს ადგილიდან დაითხოვთ, უნდა მისცეთ სამი თვის ჯამაგირი, ეუბნება მდივანი,

ვაჭარი უპასუხებს: არ შეიძლება ორი თვის ჯამაგირით დაკმაყოფილდეს მოსამსახურე?

— არა, მიუგებს მდივანი, სამი თვის უნდა მისცეთ.

— კეთილი. თანახმა ვარ—ამბობს ვაჭარი.

თუ ვინიცობაა წარმოება დაიხურება სრულიად, მოსამსახურეს 6 თვის ჯამაგირი უნდა მიეცეს.

ამაზეც სიტყვის უთქმელად დასთანხმდა ვაჭარი.

## მუშათა ცხოვრება

**თფ. რკინის გზის სადგური.** 7 აგვისტოს თფილისის რკ. გზის სადგურზე კინაღამ ერთი უბედურება დატრიალდა. ვიღაც აფიცერს მოპარეს ნივთები. ეჭვით დაიჭირეს ჯარისკაცი, როგორც დაინახეს მგზავრმა ჯარისკაცებმა, ადგნენ ჯგუფ-ჯგუფად. დაიწყეს ყვირილი და საცემათ მიწევა. ამ დროს ერთი ხანში შესული ქალი დარბოდა სადგურის ბაქანზედ ყვირილ-ტირილით. როდესაც გამოიკითხეს მიზეზი ტირილისა, აღმოჩნდა რომ მისთვის მოეპარათ ნივთები და ჯარისკაცზე აჩვენებდა. როდესაც დაჭერილი ჯარისკაცი უჩვენეს, ეს იყოვო იყვირა. სადგურის აღმასრულებელმა კომიტეტის წევრებმა ცნობა მიიღეს, რომ ვიღაც ჯარისკაცმა მიაბარა ბარგის შესანახავ კამერაში ნივთები. ბარგის შემნახველი გაიფიქრებდა, რომ ვინც ბარგისთვის მივიდოდა, კომიტეტისთვის წარედგინა. როდესაც მიბარებული ნაპარევი ნივთები მოითხოვა, ის კომიტეტში გამოგზავნეს. ქალმა თავისი ნივთები იცნო და ჩაიბარა. ამ გვარათ უდანაშაულო ჯარისკაცი უბრალოთ კინაღამ ბრბოს მსხვერპლი შეიქნა და ვერც გადარჩებოდა წამებით სიკვდილს, რომ ამ დროს მის იღბლათ სადგურში შრომის მინისტრი სკობელევი არ მოსულიყო. როდესაც გაიგებიეს მას, რომ ჯარისკაცები თვითგასამართლებას აპირობენ, სკობელევი მივიდა ბრბოსთან და მიმართა სიტყვით. გაკიცხა მათი ასეთი მოქმედება და უთხრა: „შეიძლება მე თვითონ შევიქნე უდანაშაულო მსხვერპლი ასეთი გასამართლებისა მაგრამ მაინც ვიტყვით, რომ ეს ისეთი გასაკიცხი და დასაგმობი საქმეა, რომელიც საშვილიშვილო ჩირქს სცხებს კაცობრიობას". ამ სიტყვებმა ისეთი გავლენა იქონია ჯარისკაცებზე, რომ თითქოს ცივი წყალი გადაასხესო და ხელმათ მოშორდენ თავის მსხვერპლს.

16 აგვისტოს საღამოს ქონდა ალაგი ასეთივე გაამართლებას. ვიღაც თათარს ჩემოდანში აღმოაჩნდა რამდენიმე ასეული პატრონა. ის წაიყვანეს ჩვენების ჩამოსართმევათ. ეს გაიგო რამდენიმე ჯარისკაცმა და დაიწყეს ყვირილი, ასტეხეს ერთი აურ-ზაური და დაჭერილთან გაჩნდა რამდენიმე ათასი ჯარისკაცი მოითხოვდნენ დაჭერილის ნაცვლად ნაკუწად ქცევას, არავითარი თხოვნა დარიგებამ არ გასჭრა. ბრბოს თანდათან ემატებოდა სადგურის ახლო მახლოდან. ადგილი სულ გაიჭედა ხალხით. ზოგიერთი გაცხარებულ აგიტაციას ეწეოდა ნაჭერ-ნაჭრათ ვაქციოთო. სატუსაღოში რომ გაგზავნონ—ხვალვე გამოუშვებენ და გაამართლებენო. სადგურის კომიტეტმა ტელეფონით აცნობა მილიციის უფროს მ. და ჯ. საბჭოს. ქალაქის კომენდანტს დახმარება სთხოვა ჯარით რომელიც ერთი საათის შემდეგ მივიდა. ჯარის მოსვლამდის როგორც იყო დაჭერილი თათარი რამდენიმე კომიტეტის წევრებმა გამოაპარეს ბრბოს და უნდოდათ დაემალათ სადმე, მაგრამ გაიგო ბრბომ თუ არა, ხელათ ალყა შემოარტყა. როგორც იქნა დიდი ხვეწნა მუდარის შემდეგ და ჯარისკაცთა თანხლებით გაუშურენ იმ ადგილისკენ სადაც დაჭერილი უჩვენებდა, როგორც პატრონების საწყობს, საიდანაც მან ეს პატრონები შეიძინა. ვაგზლის ქუჩაზე კიდევ შეაჩერეს ჯარისკაცებმა და იქ კი ახალი ჯგუფი ჩაერია. ამის საწინააღმდეგოთ გამოვიდა ვიღაც კაზაკის აფიცერი და ხალხს წესიერებისაკენ მოუწოდა. ვიღაც [illegible] ჯარისკაცმა მას გვერდებში თოფის კონდახი ჩაარტყა და აფიცერი ცოცხალ მკვდარი მიწაზე დაეცა. ამის შემდეგ სადგურის კომისარმა ამხ. შარაშიძემ ზოგიერთი შეგნებული ჯარის კაცების დახმარებით დაჭერილი თათარი ვორონცოვის

